



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“

ქ. თბილისი

„ 31 “ „ 08 “ 2018 წ.

ბრძანება № 42

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში (შემდგომში - სასახლე) ფასიანი წრეების (სტუდია) განსაზღვრის, საფასურის გადახდის, საშელავათო პირობებისა და სასახლის შესაბამის ჯუფში ჩარიცხვის მსურველთათვის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 6 მაისის N18.35.33 განკარგიულებით დაფუძნებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის - ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წესდების (დებულება) მე-3 მუხლის 3.2 პუნქტის, მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის 5.2.7 და 5.2.10 ქვეპუნქტებისა და ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს N18.716.1058 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის (შემდგომში - სასახლე) 2018-2019 სასწავლო წლისათვის ფასიანი წრეების ყოველთვიურ საფასურად განისაზღვროს ;

1.1 ქორეოგრაფიული მიმართულება

- ქართული ცეკვა - მოსამზადებელი ჯგუფები - 60 ლარი;
- სამოყვარულო ცეკვების ჯგუფი -50 ლარი;
- თანამედროვე ცეკვის ჯგუფი-100 ლარი;
- ბალეტი -50 ლარი;

1.2 მუსიკალური მიმართულება

- ვოკალური ჯგუფი დამწყებთათვის -40 ლარი
- ვოკალური ჯგუფი მოზარდთათვის-80 ლარი;
- დასარტყამი ინსტრუმენტები დამწყებთათვის -40 ლარი;
- კლასიკური ვოკალის ჯგუფი-50 ლარი;
- ფოლკლორული ჯგუფები - 30 ლარი;
- ხალხური საკრებები -30 ლარი;

1.3 საესტრადო სკოლა

- ვოკალის მოსამზადებელი ჯგუფი- 80 ლარი
- ვოკალის ჯგუფი-120 ლარი
- ინდივიდუალური ვოკალი-350 ლარი
- მოსამზადებელი ცეკვის ჯგუფი- 80 ლარი
- ცეკვის ჯგუფი-90 ლარი
- გიტარის კლასი-100 ლარი
- ბას-გიტარის კლასი-130 ლარი
- დასარტყამი ინსტრუმენტების კლასი-150 ლარი
- კლავიში-200 ლარი

1.4 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულება

- ხატვა/ ფერწერა - 40 ლარი;
- ძერწვა - 40 ლარი;
- კერამიკა -40 ლარი;
- თოჯინების/ აპლიკაციების/დეკორაციების დამზადება/ კოსტუმების დიზაინი-40 ლარი;
- გობელენი-25 ლარი;
- მაკრამე მძივით ქარგვა-25 ლარი;
- ჭედურობა-25 ლარი;
- ხეზე კვეთა-25 ლარი;
- მინანქარი-25 ლარი;
- ხელმარჯვე ეთნოგრაფი-25 ლარი;

1.5 თეატრალური მიმართულება

- მხატვრული კითხვა - 25 ლარი;
- მეტყველება-25 ლარი ;
- მსახიობის ოსტატობა -25 ლარი;
- ხელოვნების ისტორია -25 ლარი;

2.1 სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება

- საქართველოს ისტორია-25 ლარი;
- ისტორია -25 ლარი;
- გეოგრაფია -25 ლარი;
- გეოეკოლოგია -25 ლარი;
- ეთნოგრაფია-25 ლარი;
- ფიზიკური გეოგრაფია-25 ლარი;
- სამართალმცოდნეობა -25 ლარი;
- ტურიზმი-25 ლარი;

2.2 აუდიო-ვიზუალური მიმართულება

- კინომოყვარულთა წრე -25 ლარი;
- ფოტოხელოვნების წრე-25 ლარი;
- ჟურნალისტიკის წრე -25 ლარი;

2.3 მედია სკოლა

- მედია სკოლა -120 ლარი;

2.4 სააბიტურიენტო მოსამზადებელი ჯგუფი

- ქართული ენა/ ლიტერატურა- 80 ლარი;
- ზოგადი უნარები 80 ლარი;
- უცხო ენა-80 ლარი;
- მათემატიკა-80 ლარი;
- ლიტერატურა-70 ლარი;
- ქიმია-70 ლარი;
- ბიოლოგია-70 ლარი;
- ფიზიკა-70 ლარი;
- გეოგრაფია-70 ლარი;
- ისტორია-70 ლარი;
- ზოგადი უნარები და მათემატიკა -130 ლარი;
- სამოქალაქო განათლება-70 ლარი
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-50 ლარი;

2.5 სამუზეუმო სივრცის დათვალიერება

- მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის (სკოლის მოსწავლეები/სტუდენტები)- 3 ლარი;
- სხვა დამთვალიერებლისათვის - 5 ლარი;
- სასახლის მოსწავლეებისათვის უფასო;
- სუვენირები 2 -დან-50-ლარამდე;

2.6 პლანეტარიუმი

ლექცია/დათვალიერება-3 ლარი ;

2.7 სამხატვრო ხელმძღვანელის ჯგუფი

- გართობის დილა-2 ლარი;

2. ამ ბრძანებით განსაზღვრული ფასიანი წრეების ყოველთვიური გადასახადის გადახდისაგან (გარდა 2.4 პუნქტით გათვალისწინებული საბიტორიენტო მოსამზადებელი ჯგუფებისა) განთავისუფლდნენ:

2.1 საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახის მოზარდები და ახალგაზრდები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათათას). ასევე ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ომებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას დაღუპულ, უგზოუკლოდ დაკარგულ მებრძოლთა შვილები. მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1200 (ათასორასი) მოსწავლეს;

2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

2.3 თანამშრომელთა შვილები და შვილიშვილები;

2.4 მე-4 და მომდევნო შვილი;

2.5 სასახლის საგნობრივი და საშემსრულებლო სკოლების ხელმძღვანელის წარდგინების შემთხვევაში სწავლის საფასურისგან შეიძლება გათავისუფლდნენ განსაკუთრებული სწავლის ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები, რაზეც გადაწყვეტილებას მიიღებს სასახლის დირექტორი. სკოლის ხელმძღვანელს წლის განმავლობაში დირექტორს წარუდგინოს 30 მოსწავლე. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს დირექციის გადაწყვეტილებით დამოუკიდებლად, სასახლეში შემოსული განაცხადის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში 20 მოსწავლეს;

შენიშვნა: საშეღვათო პირობები, რომელიც ეხება სოციალურად დაუცველი მოსწავლეების გათავისუფლებას ფასიან წრეებზე არსებული ყოველთვიური გადასახადისაგან, არ ვრცელდება მოსწავლეების მომსახურების იმ ნაწილზე, რომელიც ფინანსდება "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-21 დადგენილების პირველი მუხლის "ე" პუნქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად .

3.დამტკიცდეს „სასახლის„ შესაბამის ჯგუფში ჩარიცხულ მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა (დანართი 1);

4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა მოხდეს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე დანართი 1 შესაბამისად ;
5. ქორეოგრაფიული, მუსიკალური ან სპორტული წრის არჩევის შემთხვევაში სავალდებულოა მოსწავლის ჯამრთელობის ცნობის წარმოდგენა. აღნიშნული ცნობის არქონის შემთხვევაში მოსწავლის ფიზიკურ მდგომარეობაზე პასუხს აგებს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ; (დანართი 2)
6. ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების სასახლის საჯარო გაცნობის ადგილას გამოქვეყნება და სასახლის ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.youthpalace.ge განთავსება;
7. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დანართი 3 ფურცელი

დირექტორი

